პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №

25 ივნისი, 2025 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის № 1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16.07.2014, №010250040.35.123.016211), კერძოდ:

1. დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ე) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნა, საბჭოს დებულების დამტკიცება, საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობა;“.

2. დადგენილების დანართის მე-7 მუხლის 5^1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „5^1. საკრებულო, საკრებულოს კომისიები, საკრებულოს ფრაქციები, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფები, საკრებულოს სათათბირო ორგანოები (საბჭო, კომიტეტი), საკრებულოს კომისიებთან შექმნილი საკონსულტაციო საბჭოები უფლებამოსილნი არიან, სხვადასხვა ვითარების გამო ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის არსებობისას, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, ჩაატარონ სხდომები დისტანციურ რეჟიმში.“.

3. დადგენილების დანართის 113-ე მუხლის მე-3 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. ზეპირი შეკითხვა დაიშვება მხოლოდ საკრებულოს, საკრებულოს კომისიის, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომების მიმდინარეობის დროს. წერილობითი ან ზეპირი შეკითხვის ტექსტი ბარდება საკრებულოს აპარატს. შეკითხვას შეიძლება ახლდეს დასაბუთება.“.

4. დადგენილების დანართის 134-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „კ) საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს მუშაობის წლიური ანგარიში – წარდგენიდან 5 დღის ვადაში;“.

5. დადგენილების დანართს დაემატოს შემდეგი შინაარსის VI[11] თავი:

„თავიVI[11]

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე

მომუშავე მუნიციპალური საბჭო

მუხლი 39 [5]. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნა

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად საკრებულო ქმნის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოს.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება საბჭოს დებულებით, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს საკრებულო.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი–სამდივნო განყოფილების უფროსი

ი.ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ

ა) ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი:

წინამდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტთან და „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონთან.

ბ) ნორმატიული აქტის პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის და „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 მაისის №126 დადგენილებით, რეგლამენტიდან ამოღებულ იქნა თავი VI[1] („ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო“).

წარმოდგენილი ნორმატიული აქტით ხდება საკრებულოს რეგლამენტის სხვა მუხლების ტექნიკური რედაქტირება და გენდერული თანასწორობის საბჭოსთან დაკავშირებული ჩანაწერების ამოღება. ასევე განისაზღვრება, რომ სოციალურ სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1[1] ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნა და დადგენილების სახით საბჭოს დებულების დამტკიცება. ასევე, წარმოდგენილი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, რეგულირდება ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს მუშაობის წლიური ანგარიშის გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხი.

2. დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ა) პროექტის მიღებასთან და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

ბ) პროექტის გავლენა ადგილობრივ ბიუჯეტზე:

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაღებული იქნება მხოლოდ პროექტის მიღებასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები.

3. დადგენილების პროექტის ინიციატორი:

დადგენილების პროექტის ინიციატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია.

4. დადგენილების პროექტის შედგენაში მონაწილე პირები:

დადგენილების პროექტის შედგა ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის, პროფესორის, საჯარო ფინანსების მართვის ექსპერტისა და ტრენერის, შორენა კახიძის რეკომენდაციების შესაბამისად.

დადგენილების პროექტის შედგენაში მონაწილეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-სამდივნო განყოფილების უფროსი, ცაგური პატარიძე.

5. დადგენილების პროექტის წარმდგენი საკრებულოს სხდომაზე:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი–სამდივნო
განყოფილების უფროსი